შ.პ.ს. „ეკო გარემო“

N 36
12.10.2018 წ.

საექსპერტო დასკვნა

მწვანე ნარგავების სახეობრივი და ხარისხობრივი შეფასება

2018 წლის 11 ოქტომბერს ქალაქი თბილისი, დელისის ქ. #2 ს/კ: 01.14.15.011.014, კახაბერ გაგლოშვილის (P/N 11001002659) საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე, შ.პ.ს. „ეკო გარემო“-ს ექსპერტ მზია ჯიქიას მიერ შესწავლილი იქნა საკადასტრო გეგმაზე არსებული 54 (ორმოცდათოთხმეტი) ძირი ხე-მცენარე, რომელთა ზოგადი სახეობრივი და ფიზიკური მდგომარეობა, მოცემულია ცხრილში. შესწავლილი ხე-მცენარეებიდან 36 ძირი შესაძლებელია გადაირგოს.

გადარგვა უნდა მოხდეს არასავეგეტაციო პერიოდში, შესაბამისი აგროტექნიკური ღონისძიებების გათვალისწინებით და უსაფრთხოების პირობების სრული დაცვით. ხის გადარგვამდე უნდა მოხდეს მისი კომის ფიქსირება ჯვალოში ან ბადეში, ხოლო დიდტანიან ხეების კომს, ასევე უნდა გაუკეთდეს სპეციალური დამცავი კონსტრუქცია (ყუთი) ფიცრის ან სხვა მასალისაგან (კომი მთლიანად უნდა შეიკრას ყუთით), რომელმაც უნდა უზრუნველყოს ხე-მცენარის კომის შენარჩუნება ტრანსპორტირების პირობებში,

დასარგავი ორმოს სიდიდე დამოკიდებულია მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე. სარგავი ორმოს სიგრძე და სიგანე 90 სმ-ით, ხოლო სიღრმე 20-25 სმ-ით მეტი უნდა იყოს ხის კომზე. კომსა და ორმოს კედლებს შორის სივრცე უნდა შეივსოს ნაყოფიერი ნიადაგის ნაზავით, რომელთა შემადგენლობა განისაზღვრება ინდივიდუალურად. სარგავი ორმოს ფსკერი უნდა გაფხვიერდეს 10-15 სმ სიღრმეზე, შემდგომ კი მოხდეს 20-25 სმ სისქის ნაყოფიერი ნიადაგის შეტანა. ხე სარგავ ორმოში უნდა მოთავსდეს განსაკუთრებული სიფრთხილის დაცვით (დიდ ტანიანი ხეების შემთხვევაში ამწეს გამოყენებით), დარგვის დროს არ უნდა დაიშალოს მიწის კომი, არ დაზიანდეს მცენარის ღერო, ფესვთა სისტემა და ვარჯი. ხის დარგვის შემდეგ აუცილებელია ღეროს ფიქსირება რამდენიმე მხრიდან,რომელიც განისაზღვრება ინდივიდუალურად, ხის სიდიდიდან გამომდინარე. სარგავ ორმოში იყრება მიწის ნაზავი და იტკეპნება, ხოლო დარგული ხის ირგვლივ უნდა გაკეთდეს სარწყავი ჯამი და მოხდეს მისი მულჩირება. ხის დარგვის შემდგომ უნდა მოხდეს მისი მორწყვა ნიადაგის სრულ გაჯირჯვებამდე.

წიწვოვანი ხეების გადარგვისას გასათვალისწინებელია ტოტების განლაგება მოხდეს ისე, როგორც იყო გადარგვამდე (ჩრდილოეთის მხარეს მდებარე ტოტები ისევ ჩრდილოეთით უნდა განლაგდეს).

ხის მოვლა უზრუნველყოფილი უნდ იყოს გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში. ხის გადარგვის შემდგომ, მაისიდან სექტემბრის ჩათვლით, უნდა მოხდეს მცენარის მორწყვა კვირაში არანაკლებ ორჯერ. ზამთრის თბილ და მშრალ პერიოდში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ხის მორწყვა უნდა ჩატარდეს თვეში ერთჯერ. თითოეული მცენარისათვის სარწყავი წყლის ოდენობა დამოკიდებულია გადარგული მცენარის გაბარიტებზე და ასაკზე და უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 ლიტრს (მორწყვის კალენდარი და ჯერადობა განისაზღვრება ინდივიდუალურად). მორწყვის საუკეთესო დროა- დილით 11-12 საათამდე და საღამოს- 6 საათის შემდეგ, ასევე უნდა ხდებოდეს მცენარის მიწისზედა ნაწილების დაწვიმება. (ფოთლები, წიწვები) დაწვიმებასთან ერთად შესაძლებელია მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შერევა წყალთან ერთად.

დარგვის შემდეგ სამი წლის განმავლობაში თვეში ერთჯერ უნდა ჩატარდეს სარწყავი ჯამების განახლება-გაფხვიერება, სარეველა ბალახებისგან გაწმენდა, ფოთლოვანი ხის ფესვის ყელიდან ამონაყარის მოცილება. ხის დარგვის პირველი წლიდანვე საჭიროა ჩატარდეს დარგულ მცენარეებზე დაავადებებისა და მავნებლების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები, სპეციალისტის მიერ მომზადებული ინსტრუქციით.

ხის გადარგვის მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე, (ვეგეტაციის დაწყებამდე) სარწყავ ჯამებში უნდა მოხდეს სერტიფიცირებული მინერალური და ბიოლოგიური სასუქების შეტანა და მორწყვა. სასუქების შეტანა უნდა განმეორდეს დარგვიდან მესამე წელს. (შესატანი სასუქების ოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალურად). დარგვიდან სამი წლის შემდეგ მცენარეს უნდა მოეხსნას ხის დასაფიქსირებელი საშუალებები.

ს/კ 402 020 308 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კ.N25.ბ.N142 მობ. ტელ: (+995) 595 90 71 71 Email: mziajikia@mail.ru

ინდიფიცირებული მცენარეების ფიტო-სანიტარული მდგომარეობა ამ ეტაპზე დამაკმაყოფილებელია.

ქ. თბილისი,დელისის ქ. #22 (ს.კ.: 01.14.15.011.014) კახაბერ გაგლოშვილის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების სახეობრივი შედგენილობა და ფიტოსანიტერული მდგომარეობა

N	მცენარის სახეობა	D დიამეტრი 10 სმ-ზე	H სიმაღლე (მ)	მდგომარეობა	შენიშვნა
1	ლეღვი (Ficus carica)	32.3	7	ჯანსაღი	ხილ კენკროვანი
2	აკაცია (Acacia)	24,2	8	ჯანსაღი	ორღეროიანი
3	ლეღვი (Ficus carica)	24.5	9	ჯანსაღი	ხილ კენკროვანი, სამღეროიანი
4	აკაცია (Acacia)	22	5	ჯანსაღი	ორღეროიანი
5	აკაცია (Acacia)	6,2	2	ზეხმელი	
6	აკაცია (Acacia)	13.1	2	ზეხმელი	
7	აკაცია (Acacia)	8.9	4	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
8	ჭერამი (Prunus)	12.3	6	ჯანსაღი	ხილ კენკროვანი, ექვემდებარება გადარგვას
9	ალვის ხე (Populus italica)	51.5	12	ჯანსაღი	ორღეროიანი
10	ლეღვი (Ficus carica)	9.8	4	ჯანსაღი	ხილ კენკროვანი, მრავალღეროიანი
11	მუშმულა (Eriobotria japonica)	35.4	7	ჯანსაღი	ხილ კენკროვანი
12	კარალიოკი (Diospyrus)	21.5	6,5	ჯანსაღი	ხილ კენკროვანი, ექვემდებარება გადარგვას
13	კაკალი (Juglans regia)	25	8	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
14	კაკალი (Juglans regia)	24,7	9	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
15	ჭერამი (Prunus)	23.2	9	ჯანსაღი	ხილ კენკროვანი, ექვემდებარება გადარგვას
16	კარალიოკი (Diospyrus)	14.8	6	ჯანსაღი	ხილ კენკროვანი, ექვემდებარება გადარგვას
17	ლეღვი (Ficus carica)	9	3	ჯანსაღი	ხილ კენკროვანი, მრავალღეროიანი, ექვემდებარება გადარგვას
18	მსხალი (Pýrus)	29	8	ჯანსაღი	ხილ კენკროვანი
19	დაფნა (Laurus)	8,2	2,5	ჯანსაღი	მრავალღეროიანი
20	ლეღვი (Ficus carica)	21,4	4	ჯანსაღი	ხილ კენკროვანი, ორღეროიანი
21	ატამი (Prúnus pérsica)	2	2,5	ჯანსაღი	ხილ კენკროვანი, ექვემდებარება გადარგვას
22	თხილი (Corylus)	2	3	ჯანსაღი	მრავალღეროიანი, ექვემდებარება გადარგვას
23	თხილი (Corylus)	4	3	ჯანსაღი	მრავალღეროიანი, ექვემდებარება გადარგვას
24	თუთა (Morus)	5	4	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
25	თხილი (Corylus)	4,8	3	ჯანსაღი	ორღეროიანი, ექვემდებარება გადარგვას
26	თხილი (Corylus)	3	4,5	ჯანსაღი	მრავალღეროიანი, ექვემდებარება გადარგვას
27	თხილი (Corylus)	3,2	3	ჯანსაღი	მრავალღეროიანი, ექვემდებარება გადარგვას
28	დაფნა (Laurus)	3,2	2	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
29	ტყემალი (Prunus)	3,5	2	ჯანსაღი	ხილ კენკროვანი, ექვემდებარება გადარგვას
30	თხილი (Corylus)	3,1	2,5	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

31	მსხალი (Pýrus)	29	10	ჯანსაღი	ხილ კენკროვანი
32	ლეღვი (Ficus carica)	13,8	7	ჯანსაღი	ხილ კენკროვანი, ამონაყრით, ექვემდებარება გადარგვას
33	ლეღვი (Ficus carica)	16,4	6	ჯანსაღი	ხილ კენკროვანი, ექვემდებარება გადარგვას
34	ტყემალი (Prunus)	12.3	4	ზეხმელი	ხილ კენკროვანი
35	ჭერამი (Prunus)	21	6,5	ჯანსაღი	ხილ კენკროვანი, ექვემდებარება გადარგვას
36	თხილი (Corylus)	4,2	2,5	ჯანსაღი	მრავალღეროიანი, ექვემდებარება გადარგვას
37	თხილი (Corylus)	5	3,5	ჯანსაღი	მრავალღეროიანი, ექვემდებარება გადარგვას
38	ბროწეული (Punica)	5.6	2	ჯანსაღი	ხილ კენკროვანი, ექვემდებარება გადარგვას
39	კომში (Cydonia)	22,5	5	ჯანსაღი	ხილ კენკროვანი, ექვემდებარება გადარგვას
40	ტყემალი (Prunus)	20,7	8	ჯანსაღი	ხილ კენკროვანი, ექვემდებარება გადარგვას
41	ჩვეულებრივი ნუში (Amygdalus comunis)	34,3	8,5	ჯანსაღი	ხილ კენკროვანი
42	ჭერამი (Prunus)	20.7	6	ჯანსაღი	ხილ კენკროვანი
43	ბალი (Prúnus ávium)	28,5	7	ჯანსაღი	ხილ კენკროვანი
44	ვარდი (Rosa)	3,3	2	ჯანსაღი	მრავალღეროიანი, ექვემდებარება გადარგვას
45	სურო (Hedera)	4		ჯანსაღი	მრავალღეროიანი, ხვიარა
46	ტირიფი (Salix)	5,5	3	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
47	თეთრი ვერხვი (Populus alba)	5	2,5	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
48	ტირიფი (Salix)	4.7	4	ჯანსაღი	ორღეროიანი, ექვემდებარება გადარგვას
49	ტირიფი (Salix)	7,6	3	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
50	ფშატი (Eleagnus)	9,8	3	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
51	ტირიფი (Salix)	4,8	3	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
52	ფშატი (Eleagnus)	5,4	4	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
53	ფშატი (Eleagnus)	6,8	4	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას
54	ტრიფი (Salix)	6,1	2	ჯანსაღი	ექვემდებარება გადარგვას

ფოტო თან ერთვის.

შ.პ.ს. „ეკო გარემო"-ს დირექტორი
შემსრულებელი/ექსპერტი

ს/კ 402 020 308 ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. VII კვ. კ.N25,ბ.N142 მობ. ტელ: (+995) 595 90 71 71 Email: mziajikia@mail.ru

საქართველო

ქალაქი თბილისი, დელისის ქ. №22 1099კვ.მ არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების ს/კ №011415011014 მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული

გეგმა



შენიშვნა: იგეგმება იგეგმება საპროექტო არეალში განთავსებული ხე-ნარგავების № 1,11, 12, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 30, 32, 34, 35, 36, 37, 38, 39, 43, 44, 46, 47, 48, 49, 50, 51, 52, 53, 54, მოჭრა ან/და გადარგვა

პირობითი აღნიშვნები

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ქს საცხ. შენობა
ქა არასაცხ. შენობა
ფარდული
მშენებარე შენობა
სატრანსფორ. ჯიხური
ხეები
გარე განათება
ბორდიული
ხის ღობე
ღობე
ქვის კედელი
კედელი
ფლატე
რკინიგზა
სამეთვალყურეო ჭები
ელ. გადამცემი ხაზი
ჭიშკარი
ბეტონი
წ წყალგაყვანილობა
გ გაზი
კ კანალიზაცია
სან სანიაღვრე
კგ კავშირგაბმულობა
ელ. ქსელები
თგ გათბობა

შენიშვნა:1) ნაკვეთის საზღვარი (თუ იგი არის ნახაზზე) მითითებულია დამკვეთის მიერ
2) მიწის სამუშაოების შესრულებისას შეატყობინეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებს
3) ხაზოვანი ნაგებობები და მათი ტრაექტორიები დატანილია საჯარო რეესტრის რეგისტრირებული მონაცემების მიხედვით

შპს „ბიემჯი გრუპ“
საქართველო, თბილისი, შარტავას ქუჩა 14
მობ: 598 667070; 577 158039

LTD `BMG GROUP~
14 Sartava St. Tbilisi, Georgia

ტექნიკური დირექტორი:	ზ. ბასილაძე
აზომა:	ნ. ჯიქია
დახაზა:	ნ. ჯიქია
დამკვეთი:	კ კახაბერ გაგლოშვილი
მასშტაბი: 1:500	25.025.07.2018 წ

წერილის ნომერი: **18-0119189595**
თარიღი: **08/07/2019**
პინი: **0599**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას 7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა (შემდგომში მოხსენებული, როგორც „სამსახური“) განიხილა, თქვენი 2019 წლის 28 ივნისის #60-01191794249 წერილი (AR1683446) და თანდართული დოკუმენტაცია (ექსპერტ მზია ჯიქიას 2018 წლის 12 ოქტომბრის საექსპერტო დასკვნა; ტოპო.გეგმა), რომლითაც ითხოვთ, მოქალაქე კახაბერ გაგლოშვილის მომართვის საფუძველზე ქ. თბილისში, დელისის ქუჩა #22-ში (ს.კ. #01.14.15.011.014) (ფუნქციური ზონა: სზ-2) II კლასის ორი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობის მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას.

გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში მოხსენებული, როგორც „კანონი“) მე-2 თავის, მე-7 მუხლის, მე-5 პუნქტისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც „დადგენილება“) 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს წერილობითი ნებართვის გაცემას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას ხელს უშლის 11 ძირი (#12; 16; 34; 35; 36; 39; 40; 41; 43; 52; 53) ხილ-კენკროვანი ხე, რომელთაგან, მხოლოდ 7 ძირის დიამეტრი აღემატება 12სმ-ს, მათი მოჭრა/გადარგვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემულ ნებართვას არ საჭიროებს.

მწვანე ნარგავების გადარგვასთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ დადგენილების მე-2 თავის, 21-ე და 21^2-ე მუხლების შესაბამისად, ვინაიდან, სამშენებლოდ გამოსაყენებელ ტერიტორიაზე არსებული 2 ძირი მწვანე ნარგავი ჯანსაღი ეგზემპლარია, ექვემდებარება გადარგვას, რაც დასტურდება ექსპერტის მიერ, ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ მწვანე ნარგავების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, სამსახური გასცემს ქ. თბილისში, დელისის ქუჩა #22-ში (ს.კ. #01.14.15.011.014) არსებული 1 ძირი ვარდის (#44) და 1 ძირი სუროს (#45) გადარგვაზე ნებართვას, მშენებლობის ნებართვის/წერილობითი თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში.

ამდენად, სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებასთან დაკავშირებით, ტერიტორიაზე არსებული საღი მწვანე ნარგავების (გარდა ხილ-კენკროვანისა) შენარჩუნების ვალდებულებით.

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი



პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო მიწის ნაკვეთი
- განაშენიანების რეგულირების ხაზი(შპანა ეზოსთვის)

საქართველო

ქალაქი თბილისი, დელისის ქ. №22 1099კვ.მ არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების ს/კ №011415011014 მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული

გეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ქს — საცხ. შენობა	ბორდიული	ჭიშკარი	
ქა — არასაცხ. შენობა	ხის ღობე	ბეტონი	
ფარდული	ღობე	წ — წყალგაყვანილობა	
მშენებარე შენობა	ქვის კედელი	გ — გაზი	
სატრანსფორ. ჯიხური	კედელი	კ — კანალიზაცია	
ხეები	ფლატე	სან — სანიაღვრე	
გარე განათება	რკინიგზა	კგ — კავშირგაბმულობა	
	სამეთვალყურეო ჭები	ელ. ქსელები	
	ელ. გადამცემი ხაზი	თგ — გათბობა	

შენიშვნა:1) ნაკვეთის საზღვარი (თუ იგი არის ნახაზზე) მითითებულია დამკვეთის მიერ

2) მიწის სამუშაოების შესრულებისას შეატყობინეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებს

3) ხაზოვანი ნაგებობები და მათი ტრაექტორიები დატანილია საჯარო რეესტრის რეგისტრირებული მონაცემების მიხედვით

შპს „ბიემჯი გრუპ“
საქართველო, თბილისი, შარტავას ქუჩა 14
მობ: 598 667070; 577 158039

LTD `BMG GROUP~
14 Sartava St. Tbilisi, Georgia

ტექნიკური დირექტორი:	ზ. ბასილაძე
აზომა:	ნ. ჯიქია
დახაზა:	ნ. ჯიქია
დამკვეთი:	კახაბერ გაგლოშვილი
მასშტაბი: 1:500	25.07.2018 წ

საქართველო

ქალაქი თბილისი, დელისის ქ. №22 1099კვ.მ არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების ს/კ №011415011014 მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული

გეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ძს	საცხ. შენობა
ძა	არასაცხ. შენობა
	ფარდული
	მშენებარე შენობა
	სატრანსფორ. ჯიხური
	ხეები
	გარე განათება
	ბორდიული
	ხის ღობე
	ღობე
	ქვის კედელი
	კედელი
	ფლატე
	რკინიგზა
	სამეთვალყურეო ჭები
	ელ. გადამცემი ხაზი
	ჭიშკარი
	ბეტონი
წ	წყალგაყვანილობა
გ	გაზი
კ	კანალიზაცია
სან	სანიაღვრე
კზ	კავშირგაბმულობა
	ელ. ქსელები
თგ	გათბობა

შენიშვნა: 1) ნაკვეთის საზღვარი (თუ იგი არის ნახაზზე) მითითებულია დამკვეთის მიერ

2) მიწის სამუშაოების შესრულებისას შეატყობინეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებს

3) საზოგანი ნაგებობები და მათი ტრაექტორიები დატანილია საჯარო რეესტრის რეგისტრირებული მონაცემების მიხედვით

შპს „ბიემჯი გრუპ“

საქართველო, თბილისი, შარტავას ქუჩა 14

მობ: 598 667070; 577 158039

LTD `BMG GROUP~

14 Sartava St. Tbilisi, Georgia

ტექნიკური დირექტორი:	ზ. ბასილაძე
აზომა:	ნ. ჯიქია
დახაზა:	ნ. ჯიქია
დამკვეთი:	კახაბერ გაგლოშვილი
მასშტაბი: 1:500	25.07.2018 წ

საქართველო

GWP შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"
ვაკე-საბურთალოს მიწათ ცენტრი
შეთანხმებულია
ხელმძღვანელი _____
რეგ. №_____ "23" მაისი 2019წ.
სამუშაოების დაწყების და დამთავრების ვადები
იძენს GWP-ს წარმომადგენელი
ტელ: 032 2 93 11 11

ქალაქი თბილისი, დელისის ქ. №22 1099კვ.მ არასასოფლოსამეურნეო
დანიშნულების ს/კ №011415011014 მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული

გეგმა



პირობითი აღნიშვნები

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

ძს	საცხ. შენობა	ბორდიული	ჰიდრანტი
ძა	არასაცხ. შენობა	ხის ღობე	ბეტონი
	ფარდული	ღობე	წყალგაყვანილობა
	მშენებარე შენობა	ქვის კედელი	გაზი
	საწარმოსთვის ზიანური	კედელი	კარალიზაცია
	ხეები	ცხრილზე	სანიაღვრე
	გარე განათება	რკინიგზა	კავშირგაბმულობა
		საკუთარელეგრო ქვეშ	ელ. ქსელები
		ელ. გადამცემი ხაზი	გათბობა

შენიშვნა: 1) ნაკვეთის საზღვარი (თუ იგი არის ნახაზზე) მითითებულია დამკვეთის მიერ

2) მწვრ სამუშაოების შესრულების შეტყობინება კომპანიაში წარმომადგენლებს

1) საზოგადო ნაგებობები და მათი ტერიტორიები დატანილია სკალით ოპერატორ ოპერატორისულად მომატებების მიხედვით

შპს „ბიემჯი გრუპ"
საქართველო, თბილისი, შარტავას ქუჩა 14
ზომ: 598 667070; 577 158039

LTD `BMG GROUP~
14 Sartava St. Tbilisi, Georgia

ტექნიკური დირექტორი:	ზ. ბასილაძე
ახომა:	ნ. ჯიჭია
დახაზა:	ნ. ჯიჭია
დამკვეთი:	კახაბერ გაგლოშვილი
მაშტაბი: 1:500	25.07.2018 წ

№ 0619-0231203 D 04.04.2019

მოქალაქე კახაბერ გაგლოშვილს
მისამართი: ოდესის ქუჩა #21ა ბინა #2
ტელეფონი: 591 15 53 43

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერმა“ (შემდგომში ,,კომპანია“) განიხილა თქვენი განცხადება (,,კომპანიაში“ რეგისტრირებული IN19-0228761, დათარიღებული: 28.03.19 წ.) დელისის ქუჩა #22-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკ. კოდი #01.14.15.011.014 მიწისქვეშა კომუნიკაციების მდებარეობის შესახებ.

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ მისამართზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკ. კოდი #01.14.15.011.014 კომპანიის ბალანსზე რიცხული წყალსადენ-წყალარინების ქსელები არ გაედინება. ნაკვეთის მიმდებარედ გაედინება შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ბალანსზე რიცხული D=100 მმ-იანი და D=500 მმ-იანი წყალსადენის ქსელები.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს N297/ნ ბრძანებით დამტკიცებული „გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის ნორმების“ დანართი 5-ის („წყალმომარაგების წყაროებისა და სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყალსადენების სანიტარული დაცვის ზონები. სანიტარული წესები და ნორმები. სანწდან 2.1.4. 000 – 00“), სამშენებლო ნორმების და წესების (სანდაწ 2.04.02-84) და აგრეთვე, „კომპანიის“ ტექნიკური საბჭოს 2017 წლის 11 აგვისტოს გადაწყვეტილების (ოქმი N8) თანახმად, წყალსადენის მილებთან მიმართებაში დადგენილია სანიტარული უსაფრთხოების ზოლი, რომლის არეალი აითვლება წყალსადენის ქსელიდან ორივე მხარეს: თუ მშრალი გრუნტია - არანაკლებ 10 მ-ისა, როცა წყალსადენის ქსელების დიამეტრი 1000 მმ-მდეა და არანაკლებ 20 მ-ისა, როცა წყალსადენის ქსელების დიამეტრი 1000 მმ-ზე მეტია, ხოლო გრუნტის წყლების არსებობისას, არანაკლებ 50 მ-ისა, მილის დიამეტრის მიუხედავად. ზემოაღნიშნული ნორმების საფუძველზე, სანიტარული დაცვის ზოლებში იკრძალება ნაგავსაყრელების, საასენიზაციო მინდვრების, სასაფლაოების, ცხოველთა სამარხების, ავტოგასამართი (ბენზინგასამართი) სადგურების მოწყობა და ფუნქციონირება. სანიტარული დაცვის ზოლებში, აგრეთვე, იკრძალება ნებისმიერი იმ

ძრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოწყობა და ფუნქციონირება, რომელმაც შესაძლებელია გააუარესოს ნიადაგისა და გრუნტის წყლების სანიტარული მდგომარეობა.

რაც შეეხება სამშენებლო ნორმებით და წესებით (სნდაწ II-89-80; სნდაწ 2.07.01-89) დადგენილ რეგულაციებს, მანძილი (დაშორება) ჰორიზონტალურად ქსელებიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობებამდე უნდა იყოს: წყალსადენის და წნევიანი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 5 მეტრი, ხოლო თვითდენითი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი. შესაბამისად, მოცემულ არეალში, წყალსადენის ქსელიდან 5 მეტრამდე მანძილზე, ხოლო წყალარინების ქსელების შემთხვევაში, 3 მეტრ მანძილზე ნებისმიერი მშენებლობა დაუშვებელია.

თუ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ არ იქნება დაცული ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები, ისინი სრულად აგებენ პასუხს ამგვარი მოთხოვნების დარღვევის შედეგად დამდგარ ზიანზე, ხოლო მიწისქვეშა ქსელებზე მომხდარი ავარიის/დაზიანების შემთხვევაში, მათთვის მიყენებულ ზარალზე (ზიანზე) "კომპანია" იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, "კომპანია" იტოვებს უფლებას, მიმართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს მშენებლობის აკრძალვის/შეჩერების მოთხოვნით.

ამასთანავე, ,,კომპანია" გაცნობებთ, რომ თქვენ განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია გადიოდეს, სხვა, მესამე პირთა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ კომპანია ინფორმაციას არ ფლობს.

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი:
გ.მურღულია
ტელეფონი: 293 11 11 (2102)

ჯ. ჩაჩხალია
ტელეფონი 293 11 11 (1127)

KA021748975326819

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0179, ი.ჭავჭავაძის გამზ.49ა
ტელ:(+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

49a I.Chavchavadze avenue, 0179 Tbilisi,Georgia
Tel: (+995 32)2 98 11 11
info@nasp.gov.ge

N5/7452

08 / თებერვალი / 2019 წ.

მოქალაქე კახაბერ გაგლოშვილს
მის:ქ. თბილისი, ოდესის ქუჩა 21ა, ბინა N2

ასლი: შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში შემოსული თქვენი 17.01.2018 წლის N4359/ფ განცხადების პასუხად გიგზავნით შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ 01.02.2019 წლის NOG19-0200679 წერილს, რომლითაც გვეცნობა, რომ N01.14.15.011.014 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე გაედინება „კომპანიის“ ბალანსზე რიცხული ორი D=100 მმ-იანი წყალსადენის ქსელი, რომელთა ზუსტი მდებარეობის დასადგენად საჭიროა ადგილზე შურფირება, რაც შესაძლებელია განხორციელდეს დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, მისივე ხარჯებით „კომპანიის“ ზედამხედველობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაცნობებთ, რომ თქვენს განცხადებაში დასმული საკითხი სააგენტოს მიერ განხილული იქნება მას შემდეგ, რაც დადგენილი იქნება ქსელების ზუსტი მდებარეობა და შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მიერ, შურფირების შედეგად მიღებული რეალური მდგომარეობის გათვალისწინებით წარმოდგენილი მილსადენის ხაზოვანი ნაგებობის (ს/კ N01.01.834) კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის მიხედვით შეტანილი იქნება შესაბამისი ცვლილებები სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრირებული მილსადენის ხაზოვანი ნაგებობის ამონაწერში, ასეთის საჭიროების შემთხვევაში, ასევე „სააგენტოში“ დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ 01.02.2019 წლის NOG19-0200679 წერილში ასახულ პირობებთან შესაბამისობაში მყოფი საპროექტო დოკუმენტაცია.

აღნიშნული წერილი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ დაპირებას, შესაბამისად არ წარმოშობს აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ვალდებულებას.

დანართი: 3 ფურცელი

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გიორგი დუგლაძე




№1 საპროექტო ნაგებობა
№2 საპროექტო ნაგებობა
№1 შენობა 7.4 მეტრი
№2 შენობა 4 მეტრი
011415007002
389 ა.მ.
011415007146
306 ა.მ.
011415007145
ა.მ.
011415007049
518 ა.მ.
011415007035
263 ა.მ.
011415007044
481 ა.მ.
011415007167
429 ა.მ.
011415007114
270 ა.მ.
011415007039
1032 ა.მ.
011415007036
679 ა.მ.
011415007168
603 ა.მ.
011415007115
473 ა.მ.
011415011007
307 ა.მ.
011415011001
435 ა.მ.
011415011011
553 ა.მ.
011415011008
404 ა.მ.
011415011002
724 ა.მ.
011415011014
1099 ა.მ.
011415012109
152 ა.მ.
011415012062
341 ა.მ.
011415012063
237 ა.მ.
011415012053
406 ა.მ.
0101834
0100387
1:499
N
Tbilisi
479000

ნებისმიერი იმ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოს მოწყობა და ფუნქციონირება, რომელმაც შესაძლებელია გააუარესოს ნიადაგისა და გრუნტის წყლების სანიტარული მდგომარეობა.

რაც შეეხება სამშენებლო ნორმებით და წესებით (სნდაწ II-89-80; სნდაწ 2.07.01-89) დადგენილ რეგულაციებს, მანძილი (დაშორება) ჰორიზონტალურად ქსელებიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობებამდე უნდა. იყოს: წყალსადენის და წნევიანი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 5 მეტრი, ხოლო თვითდენითი წყალარინების შემთხვევაში - არანაკლებ 3 მეტრი. შესაბამისად, მოცემულ არეალში, წყალსადენის ქსელიდან 5 მეტრამდე მანძილზე ნებისმიერი მშენებლობა დაუშვებელია.

აღნიშნული წყალსადენის ქსელის გარშემო ტერიტორია ითვლება გაზრდილი რისკის ზონად, ამიტომ ,,კომპანიას" აუცილებლად მიაჩნია წყალამრიდი ჯებირისა და სადრენაჟე არხის მოწყობა შენობა-ნაგებობებისათვის, რათა ქსელების დაზიანების შემთხვევაში თავიდან იქნას აცილებული შესაძლო ზარალის რისკი.

ამავე გარემოების გათვალისწინებით კომპანია გამორიცხავს მილსადენების ზონაში მრავალწლიანი ნარგავების დარგვას, ავტოსადგომების, სკვერების, ბავშვთა გასართობი მოედნების და კიდევ სხვა აქტიური საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობას.

თუ ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ არ იქნება დაცული ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნები, ისინი სრულად აგებენ პასუხს ამგვარი მოთხოვნების დარღვევის შედეგად დამდგარ ზიანზე, ხოლო მიწისქვეშა ქსელებზე მომხდარი ავარიის/დაზიანების შემთხვევაში, მათთვის მიყენებულ ზარალზე (ზიანზე) "კომპანია" იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. ფიზიკური/იურიდიული პირების მიერ ზემოაღნიშნული სანიტარული და სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, "კომპანია" იტოვებს უფლებას, მიმართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს მშენებლობის აკრძალვის/შეჩერების მოთხოვნით.

ამასთანავე, ,,კომპანია" გაცნობებთ, რომ თქვენ განცხადებაში მითითებულ მიწის ნაკვეთზე შესაძლებელია გადიოდეს, სხვა, მესამე პირთა კერძო საკუთრებაში/მფლობელობაში არსებული წყალსადენ-კანალიზაციის ქსელები, რომელთა შესახებ კომპანია ინფორმაციას არ ფლობს.

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: გ. მურღულია
ტელეფონი 293 11 11(21 02)





